ზოგადი მიმოხილვა

‘‘რძისა და რძის ნაწარმის’’ შესახებ ტექნიკური რეგლამენტის აღსრულების სირთულეები

2015 წლის 3 აპრილს საქართველოს მთავრობამ “რძისა და რძის ნაწარმის’’ შესახებ ტექნიკური რეგლამენტი მიიღო, რომელიც მიზნად ისახავს „რძისა და რძის ნაწარმის, რძის შემცველი პროდუქტის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას“. 2017 წლის 1 ივლისიდან რეგლამენტში შესული ცვლილებების თანახმად, აკრძალულია რძის ფხვნილისგან დამზადებულ პროდუქტზე ტერმინი „ყველის“ დარქმევა. დარეგულირდა კარაქის საკითხიც. რეგლამენტის თანახმად, დაუშვებელია ეტიკეტზე, მათ შორის, ბიზნესოპერატორის საფირმო დასახელებაში ტერმინი „კარაქის“ გამოყენება, თუ პროდუქტის წარმოებისათვის გამოყენებულია მცენარეული ან სხვა ცხიმი, გარდა რძის ცხიმისა. ტექნიკური რეგლამენტის მიღება უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა მისი აღსრულება საკმაოდ ბევრ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით რთულია ყველის წარმოებაში რძის ფხვინილის გამოყენების კონტროლი, ვინაიდან ყველიც და რძეც ძირითადად არარეგისტრირებული საოჯახო მეურნეობების მიერ იწარმოება.

აღსანიშნავია, რომ ყველის საწარმოებლად რძის ფხვილი გამოიყენება არა მხოლოდ საოჯახო მეურნეობების მიერ, არამედ ბიზნესოპერატორების მიერაც, რაც განპირობებულია წარმოების დანახარჯების შემცირების სურვილითა და იმ ფაქტით, რომ საქართველოში ხარისხიანი და უვნებელი ნედლი რძის დეფიციტია.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად საქართველოში რძის წარმოება მცირდება, ხოლო რძის ფხვნილის იმპორტი იზრდება. ასე 2017 წელს საქართველომ რძის მხვნილის იმპორტი 19 ქვეყნიდან განახორციელა და იმპორტირებული რძის ფხვნილის 24% უკრაინაზე მოდიოდა. მცენარეული ცხიმებისა და ზეთების იმპორტიც იზრდება და 2017 წელს აზერბაიჯანი წარმოადგენდა საქართველოსთვის უმსხვილეს საიმპორტო ბაზარს (იმპორტის 62% მასზე მოდიოდა).

ტექნიკური რეგლამენტის აღსრულებასთან დაკავშირებული მთავარი სირთულეებია: ფიზიკური პირების შემთხვევაში, რძისა და რძის ნაწარმის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის არარსებობა; იურიდიული პირების შემთხვევაში, რძისა და რძის ნაწარმის დისტრიბუციის ეტაპებზე კონტროლის ნაკლებობა; მომხმარებლის დაბალი ცნობიერება იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლი აქვს მას რეგლამეტის აღსრულების პროცესში.





წყარო: საქსტატი და ფინანსთა სამინისტრო, 2018

ფასები

ადგილობრივი ფასები

წინა თვესთან შედარებით, ფასების დონე საქართველოში სტაბილურად შენარჩუნდა; 2018 წლის ნოემბერში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) უმნიშვნელოდ 0.7%-ით გაიზარდა 2018 წლის ოქტომბერთან შედარებით. 2017 წლის ნოემბერთან შედარებით კი, სფი 1.9%-ით გაიზარდა.



წინა თვესთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები 1.4%-ით გაიზარდა, რამაც სფი 0.41 პროცენტული პუნქტით გაზარდა. სურსათის ფასების ცვლილებაზე ძირითადი გავლენა შემდეგმა ჯგუფებმა მოახდინა:

ბოსტნეული და ბაღჩეული (5.7% ↗)

რძე, ყველი და კვერცხი (3.3% ↗)

ხილი და ყურძენი (-8.3% ↙)

წყარო: საქსტატი, 2018

წინა წელთან შედარებით, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები უმნიშვნელოდ გაიზარდა 0.8%-ით, რამაც სფი 0.25 პროცენტული პუქტით გაზარდა.



2018 წლის ნოემბერში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა მარცვლეულისა და მარცვლეული პროდუქტების ფასებმა. განსაკუთრებით დიდი იყო ფასების ცვლილება შემდეგი პროდუქტებისთვის:

წიწიბურა (-34% ↙)

სიმინდის ფქვილი (19%↗)

ხორბლის ფქვილი (5%↗)

წყარო: საქსტატი, 2018

უფრო ვრცლად ხორბლისა და ხორბლის პროდუქტების ფასებზე

ცოტა ხნის წინ, ხორბლის პურის ფასების ზრდას საქართველოში საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. 2018 წლის ნოემბერში ხორბლის პურის ფასი 4%-ით გაიზარდა 2017 წლის ნოემბერთან შედარებით, რაც შესაძლოა ხორბლის ფქვილის ფასების ზრდით (წლიური 5%-იანი ზრდა) აიხსნას. 2018 წლის იანვრიდან დაწყებული ხორბლის ფასები წინა წელთან შედარებით უფრო მაღალი იყო. ამის ერთ-ერთი მიზეზი 2017 წლის ცუდი მოსავლით გამოწვეული შემცირებული მიწოდებაა. 2017 წელს წარმოებული ხორბლის რაოდენობა 97.9 ათასი ტონა იყო - 23%-ით უფრო ნაკლები, ვიდრე წინა წელს (126.6 ათასი ტონა).

შესაძლოა, საერთაშორისო ფასების ცვლილებამ დამატებითი გავლენა იქონია საქართველოში ხორბლის ფქვილის ფასების ცვლილებაზე. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ხორბლის ფქვილის საერთაშორისო ფასების ზრდას ცუდ მოსავალსა და შემცირებულ მიწოდებას უკავშირებს. ISET-PI-ის კვლევის მიხედვით, საერთაშირისო ტრენდების ქართულ ბაზარზე სრულ გადმოცემასა და ასახვას 7 თვე სჭირდება. შესაბამისად, საქართველოში ხორბლისა და ხორბლის პროდუქტების ფასები შესაძლოა, კიდევ უფრო გაიზარდოს.



შენიშვნა: 2016 წლის დეკემბერი აღებულია,როგორც საბაზისო თვე



წყარო: საქსტატი, 2018

საერთაშორისო ფასები

2018 წლის ნოემბერში საერთაშორისო ფასებმა დაღმავალი ტრენდი შეინარჩუნა და 2016 წლის მაისის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია. სურსათის ფასების ინდექსი, რომელსაც გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ითვლის, 2018 წლის ოქტომბერთან შედარებით 1.3%-ით შემცირდა. ფასები შემცირდა სურსათის შემდეგი კატეგორიებისთვის: მცენარეული ზეთი(-5.7%), რძის პროდუქტები(-3.3%), ხორბალი (-1.1%) და ხორცი (-0.2%). ხოლო, შაქრის ფასი გაიზარდა 4.4%-ით.

წინა წელთან შედარებით, FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი 8.5%-ით შემცირდა. ფასები შემცირდა სურსათის შემდეგი კატეგორიებისთვის: მცენარეული ზეთი(-27.2%), შაქარი (-13.9%), რძის პროდუქტები(-13.9%) და ხორცი (-7.4%). 2017 წლის ნოემბერთან შედარებით ხორბლის ფასების ინდექსი 7.1%-ით გაიზარდა.



წყარო: FAO, 2018

ვაჭრობის სტატისტიკა

2018 წლის ნოემბერში საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტმა (მათ შორის საკვები პროდუქტები) 68 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს ექსპორტის მთლიანი ღირებულების დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენს და 3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2017 წლის ნოემბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. რაც შეეხება საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტს, მისმა ღირებულებამ 2018 წლის ნოემბერში 103 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც ამავე თვეში საქართველოს მთლიანი იმპორტის 17%-ს შეადგენდა. გასული წლის ნოემბერთან შედარებით, მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი 1%-ით გაიზარდა.





თხილით საერთაშორისო ვაჭრობა

თხილის ექსპორტმა (გატეხილი და გაუტეხავი) 2018 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით 50.4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლის დაახლოებით 68%-ია. 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ყოველთვიური ექსპორტი მნიშვნელოვნად დაბალი იყო მიმდინარე წლის მთელი შემოდგომის მანძილზე. შემცირება დიდწილად გამოიწვია ექსპორტირებული თხილის რაოდენობის კლებამ, რასაც თან დაერთო ფასის კლების ეფექტიც. მაგალითად, ამა წლის ნოემბერში საქართველოდან ექსპორტირებული თხილის ღირებულება დაახლოებით 2.08-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე გასული წლის ანალოგიური მაჩვენებელი, მაშინ როცა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებზე დაყრდნობით, თხილის ექსპორტის რაოდენობა (ტონებში) იმავე პერიოდისთვის მხოლოდ 1.93-ჯერაა შემცირებული.

ოფიციალური სტატისტიკა 2018 წელს საქართველოში წარმოებული თხილის მოცულობის შესახებ ჯერ ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ, სურსათის ეროვნული სააგენტოს თანახმად, პროგნოზები გასულ წელთან შედარებით ოპტიმისტურია — სავარაუდოდ, წლევანდელ წელს წარმოებული თხილის რაოდენობა საგრძნობლად მეტი იქნება, ვიდრე გასული წლის მაჩვენებელი. ამის მიუხედავად, მოსავლის ხარისხი კვლავ დაბალია, რადგან თხილის კულტურა წელს მნიშვნელოვნად დაზარალდა სოკოვანი დაავადებებით, ე.წ. ნაცრით და სხვა ავადობებით (აზიური ფაროსანას უარყოფითი გავლენა წელს შედარებით დაბალი იყო).

საქართველოს თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაცია, თურქულ თხილთან შედარებით, ქართული თხილის შემცირებული საექსპორტო ფასის ერთ-ერთ მიზეზად ქართული თხილის დაბალ ხარისხს ასახელებს. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ 2018 წლის მოსავლის დაბალმა ხარისხმა, გასული წლიდან შემორჩენილი შედარებით მცირე მარაგების ფონზე, უარყოფითად იმოქმედა თხილის ექსპორტის მოცულობაზეც (2017-2018 წლების პირველი 11 თვის ექსპორტის შესახებ მონაცემები იხ. გრაფიკზე).



წყარო: ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, 2018

პოლიტიკის მიმოხილვა

მიწებზე საკუთრების რეგისტრაციის პროცესი 6 თვით გახანგრძლივდა

აგრარულ საკითხთა კომიტეტოს განცხადებით, მიწის რეგისტრაციის პროცესის წარმოება მოქალაქეებს 1-ელი იანვრის ნაცვლად 1-ელ ივლისამდე შეეძლებათ. გადავადების მიზეზებად სახელდება: დაინტერესებული პირების მაღალი მიმართვიანობა და მთავრობის სურვილი, რომ სახელმწიფო პროექტები შეუფრეხებლად განხორციელდეს.

მეტი ინფორმაციისთვის: http://www.bm.ge/ka/article/miwebze-sakutrebis-registraciis-procesi-6-tvit-gaxangrdzlivda/27611/?fbclid=IwAR2azKROhLvEuW9IoXC3_DEobL4m5yeSrhhZCrYtexv8dOSDK4t46A-4VRI

Land O'Lakes International Development იწყებს საქართველოში მუშაობას

Land O'Lakes International Development საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან ერთად იწყებს ახალ პროექტს, რომლის მიზანია მეცხოველეობის სექტორში მომუშავე აგრობიზნესების ხელშეწყობა სურსათის უვნებლობის სტანდატების დანეგვაში.

მეტი ინფორმაციისთვის: https://www.bizjournals.com/atlanta/prnewswire/press_releases/Georgia/2018/10/08/CG32060

ISET Policy Institute – Agricultural Policy Research Center
http://iset-pi.ge/index.php/en/research/aprc

Authors: Salome Gelashvili s.gelashvili@iset.ge
Daviti Zhorzholiani d.zhorzholiani@iset.ge
Salome Deisadze s.deisadze@iset.ge